

გაზეთი „ივერია“ ქართველთა ეროვნული ღირებულებების გამყალბებლების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში

კოკა კუტუბიძე
სტუ-ს პროფესორი
ილია ვადაჭკორია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ნაშრომში დასაბუთებული ფორმით წინა პლანზეა წამოწეული: 1) XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მეცნიერების მხრიდან, ეროვნული ღირებულებების დაცვის საქმეში გაწეული დამსახურება: ა) ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული წყაროს სანდოობის და ქართველი ერის წარსულის შესწავლაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის დასაბუთება; ბ) „ქართლის ცხოვრებასთან“ მიმართებაში მიმდინარე დისკუსიის ფონზე, იმავე „ქართლის ცხოვრების“ ახლად აღმოჩენილ ნუსხებზე დაყრდნობით, ქართველი ერის წარსულის შესახებ ქეროპე პატკანოვისა და მისი მიმდევარების მცდარი შეხედულებების მხილება; 2) გაზეთ „ივერიაში“ ქართული დამწერლობის საკითხებთან მიმართებაში დაბეჭდილ ქართველ მეცნიერთა შრომებში მოტანილმა დებულებებმა, ქართული ანბანის კორიუნისგან შექმნის მესრობ მაშტოცისეული მცდარი შეხედულების დასაბუთებულ უარყოფას დაუდო სათავე; 3) წერილობითი და ეპიგრაფიკული მასალის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანისადმი ხელშეწყობით, გაზეთმა „ივერიაში“ უდიდესი ამაგი დასდო ქართველთა ეროვნული ღირებულებების მიმართ, არმენოფილური მცდარი თვალსაზრისის დასაბუთებული ფორმით უარყოფას; 4) ქართული დამწერლობის საკითხებზე გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა ქართველი მეცნიერების პუბლიკაციებმა, ქართული პალეოგრაფიის მეცნიერული შესწავლისთვის მყარი საფუძვრი მოამზადა.

THE NEWSPAPER „IVERIA“ AS A FIGHTER AGAINST THE FALSIFICATORS OF THE GEORGIANS' NATIONAL VALUES

Koka Kutubidze
Profesor of GTU
Ilia Vadachkoria,
Phd student of GTU

ABSTRACT

Based on studying and analyzing the materials printed in the newspaper „Iveria“, the article contains justifiable statements regarding the following issues:

1). merits of Georgian scientists of the second half of the XIX century in the defense of national values: a). based on Georgian and foreign sources, the justification of the reliability of the historical source of „The Georgian Chronicles“ (*Kartlis Tskhovreba*) and its particular importance in the study of the past of the Georgian nation; b). against the background of the ongoing discussion on „The Georgian Chronicles“, based on the newly discovered lists of the same *Kartlis Tskhovreba*, the exposure of the erroneous views of Keropse Patkanov and his followers regarding the past of the Georgian nation; 2). the statements given in the works by Georgian scholars published in the newspaper „Iveria“ on the issues of Georgian writing laid the foundation to the justified rejection of Mesrop Mashtots' erroneous opinion that the Georgian alphabet was created from Koriun; 3). by promoting the introduction of written and epigraphic material into scientific circulation, the newspaper „Iveria“ made a great contribution to the substantiated rejection of the false Armenophile view regarding the national values of the Georgian nation; 4). the publications of Georgian scholars published in the newspaper „Iveria“ on the issues of Georgian writing provided a solid ground for the scientific study of Georgian paleography.

* * * *

ქართველი ერის წარსულის, შესწავლის უმთავრეს პირველწყაროს, რამდენადაც „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს, ჩვენი ეროვნული ისტორიის გაყალბების მსურველებმა, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მთავარი იერიში მასზე მიიტანეს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით სომეხი მეცნიერები აქტიურობდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღალადში“ ხაზგასმით წერდა: „სომეხთა მეცნიერთა და მათთა ამქართა ოინები კარგა ხნის ამბავია. სხვა რომ არა ვთქვათრა მთელი სამოცი წელიწადი მაინც არის მას აქეთ... რაც ერთი და იგივე ჭეჭა- ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღემუდამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილალით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადის.“(1) ი.ჭავჭავაძის ასეთი გულისწყრომა იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოს წარსუ-

ლის მემკვიდრეობის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების ფალსიფიკატორები, „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნეში შეთხზვის ყალბ ვერსიას ქმნიდნენ. აქედან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ ადრინდელ ამბებს მოგონილად აცხადებდნენ. გამყალბებელ ავტორთა შორის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები_ოსიპ სენკოვსკი და ქეროპე პატკანოვი გამოიჩნეოდნენ. ოსიპ სენკოვსკი, ქართლის ცხოვრებას ზღაპრად თვლიდა და ასკვნიდა, რომ „ქართველები ალექსანდრე მაკედონელიდან ვიდრე პეტრე დიდამდე მშვიდად ცხოვრობდნენ ყოველგვარი მატთანების გარეშე.“(2) სენკოვსკის ამ მცდარ მოსაზრებას პასუხი ცნობილმა ქართველოლოგმა, ეროვნებით ფრანგმა მარი ბროსემ გასცა, რომელმაც მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დროს შედგენილი საისტორიო თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებითაა ცნობილი, ძველ საისტორიო თხზულებებზე და სხვა წყაროებზე დაყრდნობით დაიწერა. ვახტანგამდე არსებობდა არა მხოლოდ ცალკე ცნობები საქართველოს შესახებ, არამედ იყო ქართული მატთანებებიც, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდებოდა.(3) მარი ბროსეს მეცნიერული მტკიცებულების მიუხედავად, ქეროპე პატკანოვმა (1833-1889 წ.წ.), 1883 წლის დეკემბერში ჟურნალ „მინისტერსტვო პროსვეშჩენიე“-ში საგანგებო სტატია დაბეჭდა, რომელშიაც „ქართული ქრონიკის შესახებ“ „ამტკიცებდა“, რომ ქართველებს თითქოს არ ქონდათ ძველი ისტორია. მისი აზრით, ამას თურმე, საქართველოს ძველ ისტორიაზე არა მარტო მწერლობის, არამედ ზეპირი თქმულებების არარსებობაც ადასტურებდა. ქ.პატკანოვის „მტკიცებით“, საქართველოს შესახებ თუკი წერილობითი წყაროები არსებობდა, ისიც ერთადერთ „სომხურ ქრონიკაში იყო დაცული“. იგივე ქ.პატკანოვი არ უარყოფთა, ამ ქრონიკის სომხურ ენაზე ქართულიდან თარგმნის რეალობას. მიუხედავად ამისა, ამ ქრონიკას იგი შეთხზული და შედგენილიად მიიჩნევდა ერთი „უსწავლელისა და უმეცარის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ქართველებმა ისტორიის საჭიროება იგრძნეს“. რაც შეეხება ცნობებს საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ, ქ.პატკანოვი თვლიდა, რომ თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობდა, ისიც მხოლოდ სომხურ ისტორიულ წყაროებში იყო დაცული.(4) იგი კატეგორიულად უარყოფდა ქართველ ტომთა პირველი საცხოვრისის შესახებ არსებულ ცნობებს. პატკანოვის ამ ფსევდომეცნიერულ „მტკიცებულებებს“ ილია ჭავჭავაძემ შემდეგი პასუხი გასცა: „ვინც განგებ გონებადახშული არ არის ან განგებ თვალბეზრად ხელაფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება ნაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ერი იმდენად ბრიყვი იყო, რომ ისტორიის საჭირო-

ების გრძნობაც არ ჰქონიაო. ვის მოუვა ამის თქმა ფიქრად თუ არა სომეხთა ფილოსოფოსებსა და პროფესორებს“.(5)

მაშინდელმა ქართველმა მეცნიერებმა და პუბლიცისტებმა უარყოფითი შეფასება მისცა ქ.პატკანოვის არამეცნიერულ „კონცეფციას“. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ და ილია ჭავჭავაძემ საფუძვლიანად განიხილეს პატკანოვის შეხედულებები და მათთვის დამახასიათებელი მეცნიერული საბუთიანობით ცხადყვეს იმავე ქ.პატკანოვის მოსაზრებათა მცდარობა. თუ რა კონკრეტული მიზნები ამოძრავებდა ქ.პატკანოვს, ამის შესახებ პროფესორი არჩილ ბარამიძე სამართლიანად შენიშნავდა: „პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს არ სწამდა მის დროს დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის გაბატონებული აზრი ქართველ ტომთა ნათესაობის შესახებ ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ურარტუელებთან. თუ ქ.პატკანოვი შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი ქართველ ტომთა თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ ყალბი, სიცრუის შემცველი და უნაყოფოა, რომელიც შეთხზულია XII საუკუნეში უფიცი სომეხი ბერის მიერ, მაშინ, არაპირდაპირი გზით, შეიძლებოდა უარყოფილიყო XIX საუკუნის ევროპელ ორიენტალისტთა აზრი ქართველ და ურარტუელ ტომთა გენეტიკურ ნათესაობაზე“.(6)

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი ქ.პატკანოვის ცალმხრივმა და ტენდენციურმა დამოკიდებულებამ, იგი ქართველი ერის წარსულის სრულ გაყალბებამდე მიიყვანა. ქ.პატკანოვის წინააღმდეგ ქართველ მეცნიერთა არგუმენტაცია კიდევ უფრო საფუძვლიანი გახადა დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1884 წელს აღმოჩენილმა „ქართლის ცხოვრების“ XVII საუკუნის ხელნაწერმა, „მარიამისეულმა“ ნუსხამ, რომელიც მის მიერვე 1636-1646 წლებით იქნა დათარიღებული. პროფესორმა კოტე გრიგოლიამ აღნიშნული თარიღი დააზუსტა. მისი აზრით, ხელნაწერი 1633-1645 წლებში უნდა ყოფილიყო გადაწერილი.(7) მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხის აღმოჩენამ და დ.ბაქრაძისეულმა დათარიღებამ, რომელიც ვახტანგ VI-ის სახელით ცნობილ „ქართლის ცხოვრებას“ (1703 წელი) 57 წლით უსწრებდა. ამ ფაქტმა, დ.ბაქრაძეს, იმავე წელსვე ქ.პატკანოვის საწინააღმდეგო პასუხის გამოქვეყნების შესაძლებლობა მისცა. მხედველობაში გვაქვს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მისი სტატია: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, რომელიც 1884 წელს ცალკე წიგნად, ხოლო შემდეგ რუსულადაც გამოიცა. ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ამ ნაშრომში დასაბუთებული ფორმით საფუძვლიანადაა უარყოფილი ქ.პატკანოვის ყველა მცდარი დებულება.(8)

ქართველთა ეროვნული წარსულისა და მისი ღირებულებების დაცვას გაზეთმა „ივერიამ“ 1886-1900 წლებში გარკვეული ხარკი გადაუხადა. მხედველობაში გვაქვს მის ფურცლებზე დაბეჭდილი უამრავი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ქართველთა წარსულის, მისი ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციას ეხებოდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ შრომებს შევეხებით, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, პატკანოვისა და მის მსგავს მეცნიერთა მიმართ პასუხს წარმოადგენს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ააა...ნ. ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ქართლის ცხოვრება“ რუმინცევის მუზეუმისა.⁽⁹⁾ იგი, „ქართლის ცხოვრების“ „მარიამისეულ“ და „რუმინცევისეულ“ ნუსხებზე დაყრდნობით ზოგადად განიხილავს ქ.პატკანოვის შეხედულებებს და ამ ფონზე „ქართლის ცხოვრებასთან“ მიმართებაში პატკანოვის ძირითადი დებულების მცდარობას ასაბუთებს.

გაზეთმა „ივერიამ“ იმავე პრობლემატიკას საგანგებო რუბრიკა_ „იქცვენ იგინი-კარავსა შენსა სხდომისაგან ენათასა“_ მიუძღვნა. მასში განსაკუთრებულ ყურადღებას „ს.ბარათაშვილის და ა.გოლოვინის წიგნისაგან შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორიის“ ავტორისა და სხვა „ახალი მოდის“ მეისტორიეთა წინააღმდეგ“ დაბეჭდილი სტატია იქცევს⁽¹⁰⁾. ამ პუბლიკაციაში კრიტიკის მახვილი ქ.პატკანოვის და მის მსგავს ისტორიკოსთა წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაში“ მოტანილი ცნობებს, წყაროთა შეჯერების გარეშე სიყალბედ და ზღაპრად აცხადებდნენ. მათი „მტკიცებით“, „საქართველოს ისტორია, რაც მათიანეშია მოთხრობილი, მოგონილი ამბავია. არც თამარი გყოლიათ, არც არჩილი, არც ვახტანგი და არც ერეკლე“.⁽¹¹⁾ ასეთი შეურაცხყოფელი ფალსიფიკაციიდან გამომდინარე, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ იმავე წერილში ქ.პატკანოვის მიმართ გულისწყრომითაა ნათქვამი: „გამოჩნდა ერთი ვინმე ჰაოსიანი არარატის მწვერვალზე და გაიძახის: არც „ქართლის ცხოვრება“ გქონიათ, არც ქართველი ყოფილა დედამიწაზეო. ყოველი პირი დედამიწაზე სომხებს ეჭირათ. ქართველები და სხვა ერები ახლო ხანებში გაჩნდნენ“-ო.⁽¹²⁾

ქართველი სწავლულების მიერ, პატკანოვისა და მის მიმდევართა თვალსაზრისის საფუძვლიანად უარყოფის მიუხედავად, ქართველი ერის წარსულის შესახებ არამეცნიერული და ყალბი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაციების ბეჭდვა რუსული პრესის ფურცლებზე კვლავაც გრძელდებოდა. ამ ფაქტმა, პროფესორ ქეროპე პატკანოვისა და მისი მიმდევრებისადმი, დამაჯერებელი პასუხის გაეცემა აუცილებელი გახდა. გაზეთმა „ივერია“ ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა. მხედველობაში გვაქვს ზემოაღნიშნულ პრობლემატიკასთან მიმართებაში ცნობილი მეცნიერის მოსე ჯა-

ნაშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია_„გლოვის წესი საქართველოში“⁽¹³⁾ ავტორის სამართლიანი მტკიცებით, ეროვნული ცნობიერების სრულად ჩამოყალიბება და წარსულის გაცნობისადმი მოთხოვნილება, მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ერების ხვედრს წარმოადგენდა. ამ ფონზე განიხილა მან ქართველი ერის წარსული და სავსებით კანონზომიერად დასვა შეკითხვა: რა გზა აერჩია იმ ისტორიკოსებს, რომლებსაც ხელთ პირველწყაროები არ გააჩნდა და ეროვნული ისტორიის დაწერა ჰქონდათ განზრახული. ერთადერთ გამოსავალ საშუალებად მ.ჯანაშვილი მეზობელი ქვეყნების ისტორიკოსების ცნობების მოშველიებას და წინაპართა შესახებ ერის ტრადიციული გადმოცემების გათვალისწინებას აუცილებლობად მიიჩნევდა.⁽¹⁴⁾ ასეთი სახის საინფორმაციო მონაცემებს იგი უხვად ხედავდა ჰეროდოტეს, ტიტუს ლივიუსის, მოსე ხორონელის და სხვა ავტორთა ისტორიულ შრომებში, მათ შორის „ქართლის ცხოვრებაშიაც“. ასეთი სახის მასალის სამეცნიერო სივრცეში შემოტანა, იმავე მ.ჯანაშვილის მტკიცებით, „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ყალბი შეხედულების უარყოფის პარალელურად, იმის უტყუარი მტკიცების შესაძლებლობაც შეიქმნებოდა, რომ ქართველი ერის „დასაწყისი ისტორია ერთი კაცისაგან გამომდინარე კი არ არის, როგორც ჰგონია პროფ. პატკანოვს, არამედ დამყარებულია ერის გადმონაცემებზე.“⁽¹⁵⁾ ამ თვალსაზრისს მ.ჯანაშვილი „ქართლის ცხოვრების“ „რუმინცევისა“ და „მარიამისეული“ ნუსხებიდან მოტანილი შესაბამისი ფაქტობრივი მასალებით ასაბუთებდა. საქართველოს წარსულის შესახებ, „ქართლის ცხოვრება“-ში არსებული ფაქტების სისწორის დამადასტურებლად, უცხოელ ავტორთა მონაცემებზე და თვით ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლებზე დაყრდნობით, მ.ჯანაშვილმა ქართველი ხალხის კულტურული განვითარების ევოლუციური პროცესის წარმოჩენას უძველესი პერიოდიდან შეეცადა. ამ მიზანს ემსახურებოდა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მისი რვა წერილი სათაურით_ „ისტორიული მიმოხილვა“.⁽¹⁶⁾

აღნიშნულ პუბლიკაციაში დასმული პრობლემატიკიდან, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საქართველოს წარსულის ფალსიფიკატორებთან მიმართებაში მ.ჯანაშვილისეულმა ხედვამ. მან დაწვრილებით განიხილა ქართველი ერის ისტორიაში ქრისტიანობის, ხელოვნების, ხუროთმოძღვრების და ა.შ. მნიშვნელობა და იქვე იმ ავტორებზედაც მიუთითა, რომლებიც ქართველთა კულტურის თვითმყოფადობას უარყოფდნენ და მას ასურეთიდან, საბერძნეთიდან, არაბეთ- სპარსეთიდან შემოსულად აცხადებდნენ. ასეთი მეცნიერი- ვულგარიზატორების მისამართით მ.ჯანაშვილი წერდა: „რატომ ივინყებთ ბატონებო...რომ აწინდელი ევროპის კულტურაც თავისით არ დაბადებულა, რომ იგი ღვიძლი

შვილია იტალიის ძველი კულტურისა...თქვენი ლოგიკით დღეს ხომ უნდა უარყოთ ევროპის ყველა ერთა კულტურა?"(17)

ასეთი პრეამბულის შემდეგ მ.ჯანაშვილი ოპონენტების მისამართით დასძენდა: „ქართველმა კაცმა, რომელმაც 2000-3000 წელიწადი იცხოვრა, ნუთუ ამ დროის მანძილზე უქმად იყო და ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა არა თუ კაცობრიობას, თვით თავის ქვეყანასაც კი?...რამდენადაც მონინააღმდეგეებს არ სწამთ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ფაქტებისა, ჩვენ მხოლოდ ქართული ცივილიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მივმართავთ უცხოელ ავტორებს“.(18) მომდევნო სტატიებში, მ.ჯანაშვილმა უცხოელ ავტორთა შრომებზე დაყრდნობით საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით წარმოაჩინა. დამაჯერებლად აჩვენა ქართველი ერის როლი და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში. იმავე პრობლემატიკას ეხმაურება გაზეთი „ივერია“-ს ფურცლებზე დაბეჭდილი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის წერილების სერია „კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში“.(19) იგი საპოლემიკო ხასიათისაა და პატკანოვის მცდარი შეხედულებების დასაბუთებულ უარყოფას შეიცავს. „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ქ.პატკანოვის შეხედულებებსა და რომის ისტორიასთან მიმართებაში ავგუსტ ვილჰელმ შპენგლერის „თეორიას“ შორის, ახახანაშვილმა პარალელი გაავლო და მეცნიერებისათვის მათი მიუღებლობა საფუძვლიანად დაასაბუთა.(20) სომხების მიერ „ქართლის ცხოვრების“ ავტორობის უარყოფის ფონზე, იმავე ახახანაშვილმა ქართველთა გენეალოგიის, მისი გვარტომობის საკითხი დანერჩილებით განიხილა. ქართველთა წარმომავლობის „ქართლის ცხოვრებისეული“ სქემა მოგონილად გამოაცხადა და მისი წარმოშობის მიზეზებიც ახსნა. „ეს გენეალოგია, წერს ახახანაშვილი, მოგონილია მხოლოდ იმისათვის, რომ ქართველებისა და სომხების შთამომავლობა დაუახლოვონ „დაბადების“ გადმოცემას...ვისი მოგონილიც უნდა იყოს ეს ფუჭი გენეალოგია, გინდა სომხებისა და გინდა ქართველებისა, ვისაც უნდა მიეთვისოს შემდეგ ეს ტყუილი ვარჯიში, მაინც და მაინც ამას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს საერო გადმოცემისათვის, ტრადიციისათვის. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისტორიული მწერალნი ცდილობდნენ თავიანთი ერის გვარტომობა დაეკავშირებინათ „დაბადებისათვის“ თავისი ერის გასაპატიოსნებლად და განსაღივებლად. ეს იყო სურვილი ბერებისა და ამაში ნილი არ უდევს თვით ერს და იმის გულის თქმას“.(21) ამ დებულების დასადასტურებლად, ახახანაშვილმა დასავლეთ ევროპის საისტორიო მწერლობას მიმართა და დასავლეთ ევროპის ერთა შორის ანალოგიური მისწრაფება, შესაბამისი ფაქტებით

დაადასტურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, პროფესორმა ახახანაშვილმა „ქართლის ცხოვრების“ დაწერის დათარიღების საკითხიც განიხილა. მისი აზრით, იგი წარმართულ პერიოდში, ქრისტიანობის მიღებამდე უნდა დაენერათ. რაც შეეხება თხზულების ტექსტოლოგიურ ცვლილებებს, ახახანაშვილს ქრისტიანობის შემდგომი პერიოდის „ნაღვანად“ მიაჩნდა.(22) ეს მოსაზრება ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ და პროფესორმა რევაზ ბარამიძემ გაიზიარეს და აღნიშნული დებულების სასარგებლოდ დამატებითი მასალებიც მოიტანეს. პ.ინგოროყვას დაკვირვებით, „ქართლის ცხოვრებაში“ „გადარჩენილია ფრაგმენტები წარმართული ხანის ძველი ქართული მწერლობისა“. მისი მტკიცებით, ლეონტი მროველის თხზულება საგმირო რომანების ჟანრის გავლენას განიცდიდა. „საერო მწერლობას, წერდა პ.ინგოროყვა, ადრინდანვე შეუთვისებია ტრადიციები ძველი ფალაური საგმირო ეპოსისა“.(23) ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მკვლევარი რ.ბარამიძე. „ეჭვს არ იწვევს მოსაზრება, წერს იგი, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილია ადრეული ძეგლების ექსცერპტები“.(24) თუკი ამ შეხედულებას გავიზიარებთ და ვაღიარებთ, რომ ქართლის ცხოვრებაში ძველი წარმართული ქართული მწერლობის დამადასტურებელი სათანადო ფრაგმენტები ნამდვილად არსებობს, მაშინ სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროფესორ ალექსანდრე ხანაშვილის ზემოაღნიშნული მოსაზრება. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ასეთი ფრაგმენტების აღმოჩენამ და შემდგომი პერიოდის „ქართლის ცხოვრებაში“ ჩამატებების ძიებამ, ახახანაშვილი ქართლის ცხოვრების გარკვეული ნაწილის წარმართულ ეპოქაში შექმნის შესაძლებლობის დასკვნამდე მიიყვანა. „ქართლის ცხოვრების“ ამ უძველეს ნაწილში ეძებდა იგი ძველი საერო პოეზიის კვალს.

რაც შეეხება ქ.პატკანოვს, იგი „ქართლის ცხოვრების“ XI- XII საუკუნეების ნაღვანად გამოცხადების პარალელურად, მასში მოტანილ ცნობებს ფირდოუსის შაჰნამედან აღებულად აცხადებდა. ამ მოსაზრების უარსაყოფად, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ახახანაშვილს, მყარი არგუმენტების მოშველიების შესაძლებლობა „ქართლის ცხოვრებაში“ წარმართული ეპოქის დროინდელი ფრაგმენტების მიკვლევამ მისცა. ქ.პატკანოვის „მტკიცებას“, „ქართლის ცხოვრებაზე“ ფირდოუსის შაჰნამეს ზეგავლენის შესახებ, ახახანაშვილმა, ცნობილი რუსი ფილოლოგ-ორიენტალისტის ვსეოლოდ მილერის შეხედულება დაუპირისპირა, სადაც გარკვევითაა მითითებული, რომ „ქართლის ცხოვრება“ თავის ცნობებს ფირდოუსის დაუხმარებლად პოულობს“. ამ დებულებაზე დაყრდნო-

ბით, ალ.ხახანაშვილი დასძენდა: „ჩვენს მატთანეს და ფირდოუსს აქვს ერთი და იგივე წყარო, რომლიდანაც ერთმანეთის დაუხმარებლად ამოაქვთ თავისი ცნობები. ეს წყარო არის საერთო ტრადიცია, ხალხში დაცული ამბები ძველი დროისა, ის ამბები, რომლებიც ერთნაირად იქნებოდა გავრცელებული როგორც სპარსეთში ისე საქართველოში.“(25) ამ შემთხვევაში, ა.ხახანაშვილმა ზოგადად მიუთითა „ქართლის ცხოვრების“ და ფირდოუსის საერთო წყაროზე და იგი ხალხში გავრცელებულ ტრადიციაში დაინახა. აღნიშნულ საკითხზე, კონკრეტული პასუხის გაცემას პროფესორი გურამ მამულია შეეცადა. მან „ქართლის ცხოვრების“ წყაროდ „ფალაური ეპოსის“ ის ვერსია მიიჩნია, რომელიც ფირდოუსის ლექსად განყოფილ „ფალაურ ეპოსთან“ შედარებით ახლოს იდგა.(26)

„ქართლის ცხოვრების“ XI- XII საუკუნეებში შექმნის შესაძლებლობის უარსაყოფ არგუმენტად, ა.ხახანაშვილი იმავე „ქართლის ცხოვრებიდან“ შესაბამის ამონაწერს იშველიებდა, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე (გორგასალი,) აღიწერებოდა ჟამითი_ ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფიდან, ვიდრე აქამომდე აღწერა ჯვანშერმან ჯვანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმინდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისმან, მურმანის ძისაგან და ამიერიტგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა, ლეთივ განბრძნობელსა.“(27) ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ა.ხახანაშვილი ჯუანშერს VIII საუკუნის ისტორიკოსად აცხადებდა, ხოლო თხზულებას „ქართლის ცხოვრების“ პირველ კომპილაციად. აქედან გამომდინარე, XI-XII საუკუნეებში მისი შედგენის ყოველგვარი სახის მტკიცებას ანაქრონიზმად თვლიდა.(28)

გაზეთ „ივერიას“ „საისტორიო საბიბლიოგრაფიო წერილების“ რუბრიკაში დაბეჭდილი მ.ჯანაშვილის ვრცელი რეცენზია ეხება დ.ბაქრაძის ნაშრომს_ „წერილები საქართველოს ისტორიისა და სიძველეთა შესახებ“. მასში „ქართლის ცხოვრების“ შედგენასთან მიმართებაში მეცნიერთა ერთ ჯგუფში შექმნილი გაუგებრობის ძირითადი მიზეზია ახსნილი. „ზოგიერთი ხელნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“_ ვკითხულობთ რეცენზიაში, იწყება იმით, რომ ვახტანგ VI-ემ შეჰყარა სწავლულნი და იმათ შემწეობით შეასწორა ქართული მატთანე და შეავსო სომხური და სპარსული მატთანეების ცნობებით...ამ გარემოებამ ზოგიერთ მეცნიერში ეჭვი წარმოშვა, თითქოს ქართლის ცხოვრება შედგენილი ყოფილიყო ვახტანგ VI-ისაგან და იგი არ შეიძლებოდა მიეჩნიათ სანდოთ“.

მ.ჯანაშვილის ზემოაღნიშნული რეცენზია, საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა დ.ბაქრაძის იმ დიდი დამსახურების შესახებ, რომელიც „ქართლის

ცხოვრებისადმი“ მცდარი შეხედულებების მქონე მეცნიერების გადარწმუნებაში და ვახტანგ VI- მდე ქართლის ცხოვრების არსებობის მეცნიერულად დასაბუთებაში მიუძღოდა.(29)

„ქართლის ცხოვრების“ გამოჩენილი მკვლევარის სიმონ ყაუხჩიშვილის სამართლიანი მტკიცებით, „ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ ერთი მხრით ძველი „ქართლის ცხოვრების“ დამახინჯებული ადგილები გაასწორა („განმართეს“), ხოლო მეორე მხრით, ბოლო საუკუნეების ისტორია დაწერა („აღწერეს“), რადგან ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ თხრობა იწყებოდა გიორგი ბრწყინვალის მეფობაზე (XIV ს. დასაწყისი). ახლად დასაწერი იყო XIV-XVII საუკუნეების ისტორია. ეს ორივე დავალება მეცნიერ კაცთა კომისიას პირნათლად შეუსრულებია“.(30)

რაც შეეხება ქართველი ტომების თავდაპირველ საცხოვრისს, ევროპელი მეცნიერების შეხედულების თანახმად, ისტორიული არმენიის ტერიტორია წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ ნათარგმნი წერილი, რომელიც გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ეს არის ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის ფრანსუა ლერონმანის წერილი პროფესორ დე ლორიესადმი. ცნობილია, რომ ფრ.ლერონმანი ლურსმული წარწერების გაშიფრვის სპეციალისტი იყო. ამ მიმართულებით მის მიერ წაკითხული ტექსტებით ფრანგი არმენოლოგი დე ლორიე დაინტერესდა, რომელმაც ფრ.ლერონმანს სთხოვა_ არმენიის შესახებ ლურსმული წარწერებიდან მისთვის შესაბამისი ცნობები მიეწოდებინა. დე ლორიესადმი საპასუხო წერილში, ფრ.ლერონმანი ადასტურებდა, რომ არმენიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და მის მიერ გაშიფრულ ლურსმულ წარწერებში, არმენიის შესახებ მართლაც იყო შესაბამისი ცნობები და იქვე დასძენდა: „ჩვენის აზრით, არმენიაში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტად ემსგავსება ქართულ ენას, თუ ყურადღებას მივაქცევთ საგნის გამოკვლევას იმდენად, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლიან ახლა. იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ეხლანდელი ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველი საბუთი, ამ მსგავსებისა. ახლა კი წარმოგიდგენთ მარტო ერთ შეურყეველ საბუთს, დაფუძნებულს არსებითი სახელის ბრუნვაზედ“.(31) იქვე ფრ.ლერონმანს შესაბამისი ფაქტები აქვს მოტანილი. ამ ფონზე, განსაკუთრებულ ყურადღებას, ფრ.ლერონმანის მიერ ლურსმულ წარწერებში ამოკითხული სიტყვებისა და ქართული სიტყვების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე აღმოჩენილი მსგავსება იქცევს, რომლის საფუძველზედაც მან შემდეგი დასკვნა გააკეთა: „ამნაირად ფილოლოგია, ეს მეტად ძლიერი და მაღალი საშუალებაა აღმადგინებელი ძველის ეთნოგრაფიისა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ პირველნი მემკვიდრენი იმ მიწისა, რომელსაც

არმენია ეწოდება, იყვნენ ქრისტიანობის წინ მე-
შვიდე საუკუნის ბოლომდის, იმავე ნათესავისა, რა-
სისა რომელსაც ეკუთვნიან ქართველები“.(32) იქვე,
დე ლორიეს საყურადღებოდ იგი ხაზგასმით წერდა:
„გთხოვთ მიაქციოთ განსაკუთრებით ყურადღება
იმ გარემოებას, რომ არმენიის ლურსმნებრივი წარ-
წერათა ენა არარაგად, არაფრით, განშორებითაც
არა ჰგავს ჰაოსიანთა ენას. იმ ხალხს, რომელსაც
გამოუჭრია ეს წარწერანი და ქრისტიანობის წინ
მეექვსე საუკუნემდის უმეფნია არმენიაში, არა
ჰქონია არარაგი თვისება სომხებთან, ჰაოსიანთან,
როგორც თავისის შთამომავლობით, რასით, ისე
ენით: ჰაოსიანნი შემოვიდნენ არმენიაში ვანის სულ
ბოლონდელ წარწერის გამოჭრის შემდეგ, იმ დროს,
როდესაც თვით წარწერის გამომჭრელმა ხალხმა,
შესუსტებულმა რამდენისამე საუკუნის განუწყვე-
ტელ ბრძოლით... ნინევიისა და ბაბილონის მფლო-
ბელობასთან, დაინია ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იმ
მინებისაკენ, რომელსაც ძველეთი უწოდა ივერიას
და ეხლა უწოდებენ საქართველოს“.(33)

აღნიშნული დასკვნა მკვეთრად ეწინააღმდეგება
პატკანოვის მოსაზრებას და, რაც მთავარია, წმინდა
მეცნიერულ ანალიზზეა დაფუძნებული. აქვე უნდა
აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფრ.ლერონმანი არ იყო
ქართველოლოგი და ამიტომ მას არ ამოძრავებდა
რაიმე ინტერესი სომხების წინააღმდეგ და მისი
დასკვნაც სუბიექტურად არ უნდა მივიჩნიოთ. ამ
შემთხვევაში იგი ქართველი მეცნიერების მხარდა-
მჭერი შეხედულებების მტკიცებულებებს იძლე-
ოდა. ამ ფონზე უცხადებდა უნდობლობას ძველ
სომხურ საისტორიო მწერლობას, განსაკუთრებით
მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას“. „ყველამ
ჭეშმარიტად უნდა მივიღოთ, ამბობდა ფრ.ლერონ-
მანი, სომხებს არ აბადიათ არა რიგი ნაციონალური
გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კირო-
სის თანამედროვე იყო. რაც კი შეეხება ამაზედ წინა
დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლობისა
მომდინარეობს მოსე ხორენელის წიგნისაგან და
ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენელი გვემონებოდა,
არის უბრალო ახლო (კოპია) მარ- აბას კატინის
ცრუსიტყვაობისა. ეს ბატონი კატინი სცხოვრობდა
ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერა-
ტორობის ხელოვნებას, ...მან შეადგინა კომპილა-
ცია, საცა სიმართლეზე უფრო მეტი სიცრუე შეი-
ტანა“.(34)

როგორც ვხედავთ ფრ.ლერონმანისათვის ლუ-
რსმული წარწერები პირველწყაროა და სანდოო-
ბის თვალსაზრისით, სომეხ ისტორიკოსზე მოსე
ხორენეცზე მაღლა აყენებს. სწორედ ლურსმუ-
ლმა წარწერებმა მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ
ისტორიული არმენის ადგილას ქართული ტომები
ცხოვრობდნენ. აქ ჩნდება პარალელები ჩვენთვის
კარგად ცნობილი „მოქცევი ქართლისაი“-ს ცნობა-
სთან. აღნიშნული მათიანიდან ცნობილია, რომ ქა-

რთველთა პირველი მეფე აზო, წავიდა მამის სამკვი-
დროში და „არიან ქართლიდან“ წამოიყვანა თავისი
სახლეულობა. დღემდე უცნობია თუ რა გეოგრაფი-
ული არეალი მოიაზრება „არიან ქართლი“-ში.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ცდილობს გაარ-
კვიოს, თუ რას წარმოადგენს სიტყვა „არიან“. პირის
სახელია ეს თუ არა. საბოლოოდ მკვლევარი მიდის
იმ დასკვნამდე, რომ „მსაზღვრელი „რიან“ მიეკუთ-
ვნება როგორც ქვეყანას, ისე მის მცხოვრებთაც“.
(35) „არიან ქართლის“ შესახებ კი ასკვნის, რომ „რო-
გორც არ უნდა გადაწყდეს „არიანა“-ს საკითხი, ჩვენ
ვფიქრობთ, რომ „ქართლის მოქცევის“ თხრობის
არიან ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი ქვეყ-
ნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის
შესახებ. რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმე-
ბოდეს როგორც, მითანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის
მიდამოები, რადგანაც, როგორც ვნახეთ, ჰარი_ ქვე-
ყანა შეიცავს ერთსაც და მეორესაც“.(36)

აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, „არიანს“
„სპარსულს“ („არიულს“) უკავშირებს, გარდა ამისა
გ.მელიქიშვილი „არიანის“ ახსნის სხვა ვარიანტებ-
საც განიხილავს. „ჩვენ_ წერს იგი, „არიანის“ ახსნის
კიდევ სხვა შესაძლებლობები გვესახება. რაკი ძველ
სამყაროში ესოდენ პოპულარული იყო აზრი ესპა-
ნეთის (პირინეის) იბერიიდან კავკასიის იბერიაში
ხალხის გადმოსახლების შესახებ, ხომ არ შეიძლება
„არიან“ „პერენეის“ დამახინჯება იყოს? ჩვენი ყუ-
რადლება კიდევ სხვა შესაძლებლობამ მიიქცია. პო-
ნტოს სამეფოს დამაარსებელი_„დარიოსის სატრაპი
მითრიდატე“, რომელიც მოსე ხორენელის ცნობით,
ალექსანდრე მაკედონელმა დააყენა იბერთა მმა-
რთველად (ქართული წყაროების არიან ქართლის
მეფის ძე აზო), როგორც ცნობილია ითვლებოდა კი-
როსისა და არრინას მეფედ“; კიროსის ადგილსამყო-
ფელი ცნობილია, ხოლო „არრინა“- ზე ჩვენ არაფერი
ვიციტ. ხომ არ შეიძლება, რომ რომელიმე ლიტერა-
ტურული წყაროს საფუძველზე ამ „არრინა“- დან ქა-
რთული „არიანი“ წარმომდგარიყო?“ (37)

არიან ქართლის გეოგრაფიული მდებარეობის
შესახებ ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი აქვს გა-
მოთქმული პროფესორ გრანი ქავთარიას. იგი „მოქ-
ცევაი ქართლისაი“-ს არიან ქართლს, ისტორიული
საქართველოს საზღვრებში მოიაზრებს და კონკრე-
ტულ ისტორიულ გეოგრაფიულ არეალში აქცევს.
(38) „მოქცევაი ქართლისაი“-ს არიან ქართლი_ წერს
გრ.ქავთარია, მდებარეობდა საქართველოს სამ-
ხრეთ ნაწილში. ეს საკითხი ქართულ მეცნიერებაში
დავას არასოდეს იწვევდა. „მოქცევაი ქართლისაი“
წერდა ისე, როგორც ესმოდათ და დამკვიდრებული
იყო აზონის ხანაში მისი მშობლიური მხარის სა-
ხელი. ლეონტი მროველის ეპოქაში არიან-ქართლი
გაუგებარი ტერმინი იყო მკითხველისათვის და მას
უწოდებდა იმ სახელს (კლარჯეთს), რომლითაც იც-
ნობდნენ მისი თანამედროვენი. ეჭვს არ იწვევს, რომ

ისტორიული კლარჯეთი მოიცავდა იმ ტერიტორიას, რომელიც შედიოდა აქემენიდების იმპერიის შემადგენლობაში. სახელწოდება არიან-ქართლი, როგორც მითითებულია ისტორიულ ლიტერატურაში, იხმარება „ირანის ქართლის“ შესატყვისად“. (39)

მრავალი მცდელობის მიუხედავად დღემდე დაუზუსტებელია „არიან ქართლის“ ადგილმდებარეობა. ფრ.ლერონმანის მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ ჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ „მოქცევა ქართლისაი“-ს „არიან ქართლი“ ხომ არ არის ივერთა ის ძველი სამკვიდრებელი, რომელიც ლურსმნულ წარწერებში „არმენიად“ იხსენიება. იქნებ „არიან ქართლი“ „არმენული ქართლის“ ან „არმინ ქართლის“ იგივეობა არის, რომელმაც სახეცვლილება განიცადა გადამწერთა მიერ ან სხვა მიზეზთა გამო. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ „არიან ქართლი“-ს მდებარეობაც ადვილი დასადგენია.

აღმოჩენილი და გაშიფრული ლურსმნული წყაროების მიუხედავად, სომხური ისტორიოგრაფია ისევ აგრძელებდა ქართული მიწების „მეცნიერულად“ მიტაცებას. აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია როგორც ძველი ისე ახალი სომხური ისტორიოგრაფიისათვის. ხშირ შემთხვევაში მსგავსი გამოხტომები სრულიად უსაფუძვლო და არამეცნიერული იყო, თუმცა ყოვლად უსაფუძვლო მტკიცებულებასაც უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი. ეს არ ემღებოდა გაზ. „ივერიას“ ირგვლივ გაერთიანებულ ქართველ მეცნიერთა ჯგუფს. ამ მხრივ, ისინი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და ღირსეულ პასუხს აძლევდნენ ქართველთა წარსულის გამყალბებლებს. „ივერიას“ მეშვეობით ამხილამოსე ჯანაშვილმა საქართველოს ტერიტორიების მისაკუთრების მცდელობაში სომეხი ისტორიკოსები. მან არგუმენტირებულად უარყო ძველი სომეხი ისტორიკოსების ცნობა, რომ ჭოროხის, ღალის, მტკვარის და ალაზნის ხეობები თითქოს სომხების საკუთრებას წარმოადგენდა. სომეხი ისტორიკოსების არგუმენტებს, მ.ჯანაშვილმა ქართული დოკუმენტური და პალეოგრაფიული წყაროები დაუპირისპირა. მის ხელთ არსებული მასალის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნაში ვკითხულობთ: „ყველა საბუთი ამტკიცებს, რომ აქ სომხების შორეული გავლენაც კი არ ყოფილა არა თუ ძველად, არამედ ქრისტიანობის დროსაც“. (40) აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მ.ჯანაშვილი იქვე დასძენდა: „მიუხედავად ამგვარი საბუთებისა, სომხის ისტორიკოსები ალაზნის ხეობას სომხების სამეფოს ნაწილად ჰხდნენ. ამ აზრის „დამტკიცებას“ ადგილობრივი სახელების სომხურ სიტყვებთან ვითომდა ნათესაობით ცდილობს ქეროპე პატკანოვი“. (41) პატკანოვის ზემოაღნიშნულ არგუმენტს, მ.ჯანაშვილმა, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის გატერიანოს მოსაზრება დაუპირისპირა. „გატერი-

ანო_ წერს მ.ჯანაშვილი, ტყუილად კი არ ამბობს: „ქართულისა და სომხური ენის შესწავლამ დამარწმუნა, რომ დიდი ნაწილი ქართული სიტყვებისა და ყველა ფესვი ამ ენისა ეკუთვნის განსაკუთრებულს ქართულ ჯგუფსაო. თუ მრავალი რიცხვი ამ ფესვთა მოიპოვება სომხურშიც, ეს იმას ამტკიცებს, რომ სომხურს მიუღია ისინი ქართულისაგანაო, რომელიც ოდესმე დიდ-არმენიის უმეტეს ნაწილზე უნდა ყოფილიყო გავრცელებულიო, სანამ იქ არილები მოვიდოდნენო“. (42) როგორც ვხედავთ, აქ ისევ ის აზრია განვითარებული, რომ ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. საქართველოს ისტორიის სომეხ გამყალბებელთა წინააღმდეგ, ევროპელი მეცნიერების შეხედულებების გამოყენება, მომგებიან პოზიციას უქმნიდა ქართველ მეცნიერებს და ისინიც სიამოვნებით მიმართავდნენ ამ ფორმას.

ქართველთა ეროვნული ღირებულებების დაცვის თვალსაზრისით, გაზეთ „ივერიას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში დასმული პრობლემებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ანბანის და ქართული ენის შექმნის საკითხი იქცევს. იმ პერიოდის სამეცნიერო წრეებში ამ საკითხთან მიმართებაში სამი ძირითადი შეხედულება დომინირებდა: მეცნიერთა ერთი ნაწილი აცხადებდა, რომ „ქართული ანბანი ფარნავაზმა კი არა, ადამმა შემოიღოვო“. (43) მეორენი თვლიდნენ (ქეროპე პატკანოვი...), რომ „თავდაპირველად ქართველების ენა სომხური იყო, ხოლო ფარნავაზმა ბრძანება გასცა, რათა ყველას, მთელს საქართველოში ქართულად ელაპარაკა“. (44) მეცნიერთა მესამე ნაწილი მიიჩნევდა, რომ ხუცური დამწერლობა ქართველებს თითქოს მესროფმა შეუქმნა. (45) აღნიშნული საკითხები ქართველმა მეცნიერმა ილია ოქრომჭედლიშვილმა დანვრისებით განიხილა „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“. მან ქართული ანბანის შექმნა ფარნავაზს დაუკავშირა. „ფარნავაზმა, წერდა იგი, საქართველოში შემოიღო ზენდური (ფეჰლური) ანბანი სპარსულისაგან. ამას გვიმტკიცებს საოცარი მსგავსება ქართულ-ზენდურ ანბანებისა. მაგალითებრ, 25 ზენდური ასო სრულად მიაგვანან ქართულსა“. (46)

ქართული ანბანის წარმოშობის ილ.ოქრომჭედლიშვილისეული ზემოაღნიშნული თვალსაზრისი, ზოგიერთი არაქართველი მეცნიერის მცდარი შეხედულებების გაბათილებაზე იყო გათვლილი. უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული მიზანდასახულობის მიუხედავად, მან საკითხის კვლევის არასწორი გზა აირჩია, რამაც იგი ქართული ანბანის წარმოშობასთან მიმართებაში მცდარ დასკვნამდე მიიყვანა. მხედველობაში გვაქვს: 1) ილ.ოქრომჭედლიშვილის მიერ, ასომთავრულ და ხუცურ ანბანზე უფრო ადრინდელად, მხედრულის გამოაცხადება; 2) ქართული

ანბანის წარმოშობის სათავეების, ზენდურ-სპარსული დამწერლობის ჯგუფში სრულიად უსაფუძვლოდ ძიება.

ქართველი მკვლევარების მხრიდან, ქართული ანბანის წარმოშობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის სახელს უკავშირდება. ამ საკითხთან მიმართებაში პროფესორი მამია დუმბაძე წერდა: „დ.ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ისტორიის დამხმარე დისციპლინას – ქართულ პალეოგრაფიას... მართალია, დ.ბაქრაძეს ქართული პალეოგრაფია სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე არ აუყვანია, ეს მხოლოდ აკად. ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, მაგრამ დ.ბაქრაძის მიერ მოპოვებულმა მასალამ და მისმა პირველმა დაკვირვებებმა ეს საგანი თავისებურად გააფორმეს“. (47)

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თავისი შეხედულება დ.ბაქრაძემ რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობაზე (1881 წელი) გაკეთებულ მოხსენებაში „ქართული პალეოგრაფია“ – ჩამოაყალიბა. ეს ნაშრომი, არქეოლოგთა ყრილობის მასალებში 1887 წელს დაიბეჭდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთმა „ივერიამ“ 1888 წელს მ.ჯანაშვილის ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა სათაურით „ქართული პალეოგრაფია“ წერილი დ.ზ.ბაქრაძისა“. (48) დ.ბაქრაძის ნაშრომის შინაარსის და ძირითადი დებულებების თანმიმდევრულ გადმოცემასთან ერთად, მ.ჯანაშვილმა მისი მეცნიერული შეფასებაც მოგვცა. „დ.ბაქრაძის საპალეოგრაფიო შრომის გამოქვეყნების შემდეგ – ვკითხულობთ რეცენზიაში, – ქართული პალეოგრაფია მკვიდრ საფუძველზე დამყარებულად უნდა ჩავთვალოთ“. (49) დ.ბაქრაძემ აღნიშნულ გამოკვლევაში საფუძვლიანად დაარღვია ქართული ანბანის წარმოშობის ილ.ოქრომჭედლიშვილისეული შეხედულება. ქართული დამწერლობის საწყისად ასომთავრული, ხოლო შემდეგ საფეხურად კი ნუსხა ხუცური მიიჩნია. მათი განვითარების მომდევნო საფეხურად მხედრული გამოაცხადა. ქართულ-ბერძნული ანბანის ურთიერთ შედარებითა ანალიზმა, დ.ბაქრაძე ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობის მტკიცებამდე მიიყვანა. (50)

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს შეეხო ქართველი მეცნიერი მ.ჯანაშვილი გაზეთ „ივერიამში“ გამოქვეყნებულ წერილში – „რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი“. (51) მისი ეს პუბლიკაცია, ილია ოქრომჭედლიშვილის ზემოაღნიშნულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებების პასუხს წარმოადგენს. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ილ.ოქრომჭედლიშვილის შეხედულებების საფუძვლიანად უარყოფის პარალელურად, მან კრიტიკის მახვილი სომეხი ისტორიკოსის კორიუნის „თეორიის“ – ქართული ანბანის მესრობ მაშტოცის შექმნილად გამოცხადების უარსაყოფად მიმართა. ქართული წყაროებიდან აღებული მასალებისა და

იმავე კორიუნის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც მესროფი ქართული ენის უცოდინარი ჩანს, ამ „თეორიის“ დამცველთა მისამართით, მ.ჯანაშვილი კანონზომიერად სევამდა კითხვას: „როგორ მოიგონებდა მესროფი ქართულ ანბანს, როდესაც მან სრულიად არ იცოდა ქართული ენა, საჭირო კი იყო, რომ ზედმინვნით სცოდნოდა ამ შემთხვევაში ყოველი ხმა უცხო ენისა“. (52) აქედან გამომდინარე, გამორიცხავდა იგი მესროფისაგან ქართული ანბანის თუნდაც შევსების რაიმე ცდას და დაასკვნოდა: „ქართველებს ანბანი ჰქონდათ არა მესროფის ზღაპრულ მოგზაურობის დროს საქართველოსა და ალბანეთში და ფარნავაზის დროს, არა მესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინ, როგორც ამას ამტკიცებს ილ.ოქრომჭედლიშვილი, არამედ ფარნავაზის მეფობის რამდენიმე საუკუნის უწინარეს“. (53)

ქართული ანბანის სემურ-ფინიკური დამწერლობიდან წარმომავლობის და სომხურიდან შექმნის უარყოფის მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულება განავითარა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა 1926 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში – „ქართული პალეოგრაფია“.

ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს პროფესორმა რამაზ პატარიძემ და აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. მათი გამოკვლევები ქართული ანბანის ივ.ჯავახიშვილისეული თეორიის გამყარებას და მესრობ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის საფუძვლიანად უარყოფას წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თ.გამყრელიძე ერთი მარტივი მაგალითის მოტანით აცამტკიცებს აღნიშნულ „თეორიას“. „მესრობ მაშტოცი – წერს იგი, – თვით არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას. ახალი დამწერლობის შექმნა... ახალი გრაფიკული სიმბოლოების გამოგონება – შეთხზვას კი არ ნიშნავს მხოლოდ; იგი გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას, ენის ფონეტიკური სისტემის დანაწევრებას ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოიხატოს სათანადო გრაფიკული ნიშნებით. ეს არის სწორედ ახალი დამწერლობის შექმნის პროცესში ლოგიკურად პირველი და ძირითადი ეტაპი, რასაც არსებითად ემყარება მთელი შემდგომი პროცედურა ბგერათა გრაფიკული გამოხატვისა და მათი ანბანთრიგში განწყობა. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია. (54)

რაც შეეხება პროფესორ რამაზ პატარიძეს, მან სიღრმისეულად განიხილა ქართული ანბანის წა-

რმოშობისა და მისი მონათესავეობის პრობლემა სომხურ ანბანთან მიმართებაში. ამ ფონზე მან 6 ისეთი ძირითადი ნიშან-თვისებები გამოყო, რომელიც ქართულ ანბანს სომხურისგან განასხვავებდა: 1) ასოთა მოხაზულობა, 2) ასო_ნიშნების ანბანური რიგი, ანუ თანმიმდევრობა, 3) ასო_ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა, 4) ქართული და სომხური ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების ანბანური რიგი, 5) ქართული და სომხური ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გრაფიკული საფუძველი და 6) ქართული და სომხური ასოების სახელები.(55) რ.პატარიძე ამ გარეგნულ სხვაობებზე არ ჩერდება და უფრო სიღრმისეული გამოკვლევის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ სომხური ანბანის შექმნა და საერთოდ სომხური დამწერლობა უკავშირდება მესრობ მამტოცის სახელს.

რაც შეეხება ქართული დამწერლობის შემოღებას, ამ საკითხთან მიმართებაში რ.პატარიძე, ლეონტი მროველის ცნობას ანგარიშგასანევად თვლის. „ქართულ ისტორიულ მატერიალში_წერს იგი,_დაცულია უდიდესი მნიშვნელობის ცნობა ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ, რისი ხელაღებით უარყოფა შეუძლებელია. კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაეჩიოს ანგარიში: XI საუკუნეში მოღვაწე ქართველ მემკვიდრე_ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შემოღებულია წარმართულ ხანაში და წარმართული კულტურის ძეგლია და არა ქრისტიანულისა. ქართული დამწერლობა რომ ქრისტიანული კულტურის ძეგლი ყოფილიყო, განა მროველ ეპისკოპოსს და ქართველ მემკვიდრეს არ უნდა სცოდნოდა?“ (56)

სომეხი ისტორიკოსების თეორიებს ქართული ანბანის შექმნის შესახებ ეწინააღმდეგება თვით XIII საუკუნის მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი. იგი თავის ისტორიაში წერს, რომ: „პირველი ქართველი მეფე ფარნავაზ, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული. მანვე შექმნა მათი დამწერლობა“. (57) უცნობია თუ რა წყაროზე დაყრდნობით წერს ამას მხითარ აირივანეცი. საფიქრებელია, რომ მას არ უხელმძღვანელია ლეონტი მროველის თხზულებიდან, რადგან ლეონტი არსად არ წერს, რომ ფარნავაზმა ექვსი ენიდან ქართული შექმნაო. როგორც ჩანს მხითარ აირივანეცი სხვა წყაროს ეყრდნობა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა უსაფუძვლო თეორიებს თავად სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანეცი აბათილებს.

ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის გაყალბების საქმეში, სომეხ მეცნიერებს, ქართველი მწერალი გიორგი წერეთელიც არ ჩამორჩა. მხედველობაში გვაქვს მის მიერ „დრევენოსტი ვოსტოჩნაიას“ 1891 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი პუბლიკაცია, რომელსაც იგი „ამტკიცებდა“, რომ

გელათის ტაძარი თითქოს დავით აღმაშენებელს არ აუშენებია და მისი აშენება წინ უსწრებდა დავითის მეფობას. ამ შეხედულების გასამყარებლად, ტაძრის კედელზე არსებულ წარწერას იშველიებდა: „ადიდნეს ღმერთმან მეფეთ-მეფობა, ბაგრატ. დედოფლისა ელენე და ძეთა მათთა ორთავე ცხოვრებასა შინა. ამინ“. (58) გ.წერეთლის ამ მცდარი მოსაზრების გასაბათილებლად მ.ჯანაშვილმა საგანგებო რეცენზია დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, სადაც გ.წერეთლის შეხედულება, შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და იქვე დასძინა: „გ.წერეთლის აზრი უსაფუძვლოა იმ გარემოების მიხედვით, რომ გელათის კედელზე ჰხატია გოლიათისებური სურთი დავით აღმაშენებლისა, რომელსაც ხელში ტაძრის გეგმა უჭერია. ხოლო ბიზანტიაში, სომხეთსა და საქართველოში საყდრის გეგმით მარტო ეკლესიის მამულებელთ ჰხატავდნენ“. (59) არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მ.ჯანაშვილს, რადგან დღეისათვის არ არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ გელათი დავით აღმაშენებლის აშენებული არ არის.

გ.წერეთლის კრიტიკა კვლავ გაგრძელდა გაზ. „ივერიაში“ და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კრიტიკის ობიექტი გახდა მისი ნაშრომი „ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“, რომელიც გ.წერეთელმა გაზ. „კვალში“ დაბეჭდა.

აღნიშნულ ნაშრომში გ.წერეთელი ამბობს, რომ „თამარ მეფის შვილს გიორგის ლაშა რომ ერქვა, ეგ სიტყვა რუსული „ლუჩ“-იაო, თამარმა „ლუჩ“-ი ისწავლა პირველი ქმრის რუსისაგანაო“. (60) ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერი ნიკოლოზ ხიზანიშვილი ქართულ წყაროებზე დაყრდნობით უარყოფს გ.წერეთლის მოსაზრებას და წერს: „მატიანე პირდაპირ ამბობს, რომ ლაშა აფხაზთა ენაა, ე.ი. აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს ქვეყნის მანათობელსაო“. (61) ნ.ხიზანიშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბროსეს შეხედულებას იშველიებს და იქვე დასძენს: „ბროსე პირდაპირ განმარტებს, მეფე გიორგის მეტსახელი „ლაშა“ აფხაზური სიტყვაა და საკვირველი აქ არაფერია, რადგანაც იმ დროს აფხაზეთი საქართველოს ნაწილს შეადგენდა და იმის მეფეებს ექვემდებარებოდაო“. (62)

იგივე საკითხს მ.ჯანაშვილი შეეხო, რომელმაც „ივერიას 1893 წლის N 199-ში გამოქვეყნებულ წერილში, გ.წერეთლის „ფილოლოგიურ გამოკვლევაში“ „ლაშას“ წარმოშობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება მკაცრად გააკრიტიკა. მ.ჯანაშვილს მოჰყავს გ.წერეთლის შეხედულება, თითქოს: „ქართლის ცხოვრება აჭორებს, როდესაც ამბობს, რომ ლაშა აფხართა ენით განმანათლებელს ნიშნავსო; საფიქრებელია, რომ „აფხართა ენა“ შესთხვს მეთვრამეტე საუკუნის მემკვიდრეთ“. (63) ამასთან დაკავშირებით მ.ჯანაშვილი პრინციპულად სვამს კითხვას: „რა კავშირი აქვს მეთვრამეტე საუკუნის

მემატიანეს „ქართლის ცხოვრება“- სთან?!” და იქვე პასუხობს: „ნუთუ ბ.ნი გიორგი წერეთელი დღესაც იმ აზრზე ადგია, რომ ვითომ „ქართლის ცხოვრება“ შეთხზულია, ანუ შედგენილი XVIII საუკუნეში? პირიქით, „ქართლის ცხოვრების“ ზედმინევენით შესწავლა სისრულით გვარწმუნებს, რომ იგი ჩვენი ერის დიდებული ძეგლია, რომ იგი შედგენილია ნაწილ- ნაწილად, დროით- დრო, რომ მას ჭორი არსად არ შემოაქვს, რომ იგი არათუ აზვიადებს თხრობას შესახებ ქართველებისა, არამედ კიდევ ამოკლებს, რომ ბაქიაობა, ტრაბახი არავინ დასწამოს“.(64)

როგორც ვხედავთ გ.წერეთელს, საქმეში კარგად ჩახედული მეცნიერები დაუპირისპირდა და ღირსეული პასუხი გასცა. ეს ის მეცნიერებია, რომლებიც ქართველი ერის წარსულის დაცვის სადარაჯოზე იდგნენ და მის გამყალბებლებს არაფერს არ პატიობდნენ და მათ მცდარ შეხედულებებს, გაზეთ „ივერიას“ მეშვეობით საქვეყნოდ ააშკარავებდნენ. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მ.ჯანაშვილის მკაცრი კრიტიკა, გ.წერეთელმა სხვა მხრივაც დაიმსახურა. მხედველობაში გვაქვს, გ.წერეთლის მიერ „კვალში“ დაბეჭდილი ის მცდარი შეხედულება, რომელიც აფხაზეთისა და სომხეთის მეფეების დამოყვრების საკითხს ეხება. „მეათე საუკუნეში_ წერს გ.წერეთელი_ ბედნიერმა შემთხვევამ დაამოყვრა აფხაზეთის მეფის გვარი დიდი სომხეთის მეფესთან (?), ადარნასე კურაპალატის ოჯახთან, რომლის შვილმა დიდმა დავით მეფემ ტაოელმა უმემკვიდროობის გამო იშვილა თავისი ძმისწული და აფხაზეთის მეფის გიორგი პირველის შვილისშვილი ბაგრატ მესამე“. ამასთან დაკავშირებით, შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით მ.ჯანაშვილი წერს: „ყველა ისტორიულ წყაროში სწერია, რომ ხსენებული დავით დიდი ტაოელი არის საქართველოს კურაპალატის ადარნასეს და არა სომხეთის მეფის ადარნასეს ძე, რომ ამ დავითმა იშვილა არა თავისი ძმისწული ბაგრატ მესამე, არამედ თავისი ბიძისწული ბაგრატ მესამე“.(65)

აღნიშნულ პოლემიკაში ჩაერთო ვაჟა- ფშაველაც, რომელმაც მეტად საყურადღებო მოსაზრება წარმოადგინა „ლაშა“- ს წარმოშობასთან დაკავშირებით. „ჩემის ფიქრით_ ამბობს ვაჟა_ ამ მოსაზრებათა შორის არც ერთია მართალი და არც მეორე“.(66) ვაჟა- ფშაველა „ლაშა“-ს წარმოშობას ქართულ ფესვებში ეძებს და იქვე დასძენს: „აფხაზურ ენასთან რად უნდა გავრბოდეთ, როცა ფესვი „ლას“ თვით ქართულ ენაში მოიპოვება. ავიღოთ თუნდაც სიტყვა ლაშქარი, ქართული გვარი ლაშაური“.(67) გარდა ამისა ვაჟა ამბობს, რომ ფშავეში სიტყვა „ლაში“ აღნიშნავს პირს და მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ბევრს ნუ ლაპარაკობ დააყენე ლაშნი“.(68) სწორედ „ლაში“- დან ნაწარმოებად მიაჩნია მას სიტყვა ლაშქარი, რადგან „ჯარი საომრად მუდამ მღერით გაემართებოდა, პირსა ჰქარვიდა, ჟღავუღუვობდა“.(69)

ჩვენი აზრით, ვაჟასეული ვერსია დამაფიქრებელია, თუმცა მაინც შეუძლებელია გადაჭრით რამის თქმა. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე „ლაშას“ შემდეგნაირად განმარტავს: „ლა-შარი სალოცავია ფშავე- ხევსურეთში, ალაშარა აფხაზურად სინათლეს ნიშნავს. ლაშა კავშირია ამ სიტყვებთან, იგი მომდინარეობს წარმართული ღვთაების სახელისაგან“.(70)

ამრიგად, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალების შესწავლა-გაანალიზებამ შესაძლებლობა მოგვცა წინა პლანზე წამოგვეწია და საზოგადოებისადმი დასაბუთებული ფორმით მიგვეწოდებინა: 1) XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მეცნიერების მხრიდან, ეროვნული ღირებულებების დაცვის საქმეში გაწეული დამსახურება: ა) ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული წყაროს სანდოობის და ქართველი ერის წარსულის შესწავლაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის დასაბუთება; ბ) „ქართლის ცხოვრებასთან“ მიმართებაში მიმდინარე დისკუსიის ფონზე, იმავე „ქართლის ცხოვრების“ ახლად აღმოჩენილ ნუსხებზე დაყრდნობით, ქართველი ერის წარსულის შესახებ ქეროპე პატკანოვისა და მისი მიმდევარების მცდარი შეხედულებების მხილება; 2) გაზეთ „ივერიაში“ ქართული დამწერლობის საკითხებთან მიმართებაში დაბეჭდილ ქართველ მეცნიერთა შრომებში მოტანილმა დებულებებმა, ქართული ანბანის კორიუნისგან შექმნის მესრობ მაშტოცისეული მცდარი შეხედულების დასაბუთებულ უარყოფას დაუდო სათავე; 3) წერილობითი და ეპიგრაფიკული მასალის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანისადმი ხელშეწყობით, გაზეთმა „ივერიაში“ უდიდესი ამაგი დასდო ქართველთა ეროვნული ღირებულებების მიმართ, არმენოფილური მცდარი თვალსაზრისის დასაბუთებული ფორმით უარყოფას; 4) ქართული დამწერლობის საკითხებზე გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა ქართველი მეცნიერების პუბლიკაციებმა, ქართული პალეოგრაფიის მეცნიერული შესწავლისთვის მყარი საფეხური მოამზადა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ი.ჭავჭავაძე. ქვათა ლაღადი. თბილისი. 1994 წ. გვ. 8
2. მ.ლორთქიფანიძე. რა არის ქართლის ცხოვრება. თბილისი. 1989 წ. გვ. 7
3. იქვე. გვ. 7
4. ა.იოსელიანი. საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი. თბილისი. 1972 წ. გვ. 321- 322.
5. ი.ჭავჭავაძე. ქვათა ლაღადი. თბილისი. 1994 წ. გვ. 12
6. არ.ბარამიძე. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან. თბილისი. 1979 წ. გვ. 24.

7. კ.გრიგოლია. რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება. თბილისი. 1971 წ. გვ. 25

8. დ.ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. თბილისი. 1884 მისივე. საქართველოს ისტორიის წყაროები. „ცისკარი“ 1857 წ.

9. N 2. მისივე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე. თბილისი. 1889.

10. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 4 ოქტომბერი N 205

11. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 18 ნოემბერი N 241

12. იქვე.

13. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 7 ივნისი N 118

14. იქვე.

15. იქვე.

16. გაზ. „ივერია“ 1889 წ. 1 თებერვალი N 24; 9 თებერვალი N 30; 14 თებერვალი N 34; 21 თებერვალი N 38; 22 თებერვალი N 39. 1 მარტი N 45; 5 მარტი N 48

17. გაზ. „ივერია“ 1889 წ. 1 თებერვალი N 24

18. იქვე.

19. გაზ. „ივერია“ 1889 წ. 9 თებერვალი N 30

20. შ.ბადრიძე. ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი მოჭირნახულე ალექსანდრე ხახანაშვილი. თბილისი. 1968.

21. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 26 ივლისი N 156

22. იქვე.

23. პ.ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. თბილისი. 1978. გვ. 241- 485.

24. რ.ბარამიძე. ქართული საისტორიო პროზა. თბილისი. 1971 წ. გვ. 71.

25. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 26 ივლისი N 156

26. გ.ამაშელია. ქართლის ცხოვრების წყაროს დადგენისათვის. იბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი. 1969. N 1. გვ. 254.

27. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 17 ნოემბერი N 242

28. იქვე.

29. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 18 ნოემბერი N 241

30. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 1 აპრილი. N 69

31. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1. თბილისი. 1955. გვ. 024-025.

32. გაზ. „ივერია“ 1890 წ. 22 თებერვალი N 40

33. გაზ. „ივერია“ 1890 წ. 23 თებერვალი N 41

34. გაზ. „ივერია“ 1890 წ. 17 თებერვალი N 36

35. ს.ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე. „შრომები“ ტ. 2 თბილისი. 1952. გვ. 46

36. იქვე. გვ. 70

37. გ.მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი. 1965. გვ. 16

38. გრ.ქავთარია. აზონი. თბილისი. 2000 წ. გვ. 15

39. იქვე. გვ. 18

40. გაზ. „ივერია“ 1891 წ. 18 ივნისი N 13

41. იქვე.

42. იქვე.

43. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 4 ოქტომბერი N 205

44. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 6 თებერვალი N 27

45. გაზ. „ივერია“ 1881 წ. N 10

46. ილ.ოქრომჭედლიშვილი. ვინ მოიგონა ქართული ანბანი. იბ. გაზ. „ივერია“ 1881. N 10

47. მ.დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). ბათუმი. 1950. გვ. 147

48. გაზ. „ივერია“ 1888 წ. 6 თებერვალი N 27

49. იქვე.

50. იქვე.

51. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 10 ივნისი N 115; 11 ივნისი N 116; 12 ივნისი N 117; 13 ივნისი N 118; 17 ივნისი N 121; 18 ივნისი N 122; 19 ივნისი N 123; 23 ივნისი N 126; 24 ივნისი N 127; 25 ივნისი N 128.

52. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 12 ივნისი N 117

53. გაზ. „ივერია“ 1887 წ. 13 ივნისი N 118

54. თ.გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. თბილისი. 1989 გვ. 195

55. რ.პატარიძე. ქართული ასომთავრული. თბილისი. 1980წ. გვ. 530-531

56. რ.პატარიძე. იქვე. გვ. 60

57. მხითარ აირივანეცი, „ქრონოგრაფიული ისტორია“. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი. 1990 წ. გვ. 57

58. გაზ. „ივერია“ 1891 წ. 15 ივნისი N 124

59. იქვე.

60. გაზ. „ივერია“ 1893 წ. 17 ოქტომბერი N 223

61. იქვე.

62. იქვე.

63. გაზ. „ივერია“ 1893 წ. 18 სექტემბერი N 199

64. იქვე.

65. გაზ. „ივერია“ 1893 წ. 3 ოქტომბერი N 211

66. გაზ. „ივერია“ 1893 წ. 16 ნოემბერი N 247

67. იქვე.

68. იქვე.

69. იქვე.

70. ზ. ჭუმბურიძე. „რა გქვია შენ“ თბილისი. 1971. გვ. 84